

## ჯავახეთის ზეგნის ჰიდროთერმულად შეცვლილი დოლერიტბაზალტები და ჰიდროთერმალიტები

*ბეჟან თუთბერიძე<sup>1</sup>, მარიამ ახალკაციშვილი<sup>2</sup>*  
[bejan.tutberidze@tsu.ge](mailto:bejan.tutberidze@tsu.ge), [mariam.akhalkatsishvili@tsu.ge](mailto:mariam.akhalkatsishvili@tsu.ge)

<sup>1,2</sup> გეოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
უნივერსიტეტის ქ.13, 0186, თბილისი, საქართველო

ჰიდროთერმალური შეცვლის პროცესები და მასთან დაკავშირებული ჰიდროთერმალიტები პირველად იქნა დაფიქსირებული ჯავახეთის ზეგნის არეალში გამოვლინებულ გვიან-პლიოცენურ-ადრეპლეისტოცენური ასაკის დოლერიტბაზალტებში. საველე დაკვირვებიდან ჩანს, რომ ჰიდროთერმული შეცვლები ძირითადად ლოკალიზებულია ლავური ნაკადების ზედა და ქვედა ნაწილებში განვითარებულ ვეზიკულების ზონებში. აქ მინერალიზაციის პროცესის მართვასა და განვითარებაში გარკვეული როლი ლავური ნაკადების ზედაპირზე განვითარებულ ვეზიკულებს ეკუთვნის, რომლის წარმოქმნა დაკავშირებულია ნაკადის სწრაფად გაცივებად ნაწილებში მიმდინარე დეგაზაციის პროცესთან.

ვეზიკულები ამოვსებულია ჰიდროთერმალიტებით, რაც ქანს მკაფიოდ გამოხატულ მანდელშტაინურ ტექსტურას ანიჭებს. ჰიდროთერმალიტებს შორის, ამიერკავკასიის გვიან-პლიოცენურ დოლერიტბაზალტებში, პირველად იქნა აღმოჩენილი არაგონიტის რადიალურ სხივოსნური აგრეგატები, რომლის დიაგნოსტიკა დეტალური საველე და ლაბორატორიული (მიკროსკოპული, სრული სილიკატური, ქიმიური და რენტგენოსტრუქტურული ანალიზები) შესწავლის საფუძველზე მოხდა. არაგონიტის თანამგზავრი მინერალებია: დოლომიტი, ქლორიტები და სმექტიტები. დადგენილია მინერალიზაციის პროცესის სტადიურობა, რაც გამოიხატება ჰიდროთერმების ცირკულაციის მრავალჯერად განახლებაში. პროცესი მიმდინარეობს pH-(წყალბადის პოტენციური იონი) ნეიტრალურ (pH =7) და სუსტად მჟავე (pH <7) გარემოში, მცირე სიღრმეზე შედარებით დაბალი და სწრაფად კლებადი ტემპერატურისა (150-50<sup>0</sup> C) და წნევის პირობებში.

ჰიდროთერმალიტების შესწავლას აქვს დიდი მნიშვნელობა სამეცნიერო და პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად; კერძოდ ამ ხასიათის კვლევები არის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა მადნეული და არამადნეული სასარგებლო წიაღისეული საბადოების ძებნით-სამიეზო სამუშაოების მიზანმიმართული ჩატარებისათვის.